

პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო დისკურსის შეპირისპირებითი ანალიზი
(ინგლისური, რუსული და ქართული ენების მაგალითზე)

თათია ხახიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო
მოლაპარაკებები/ეკონომიკა (ევროპული-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ზესელია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მდებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია ხახიშვილი

2018 წლის 12 ნოემბერი

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევის ობიექტს წარმოადგენს წინასაარჩევნო დისკურსი. კვლევის საგანი კი - მანიპულაციის სტრატეგიები და ტაქტიკაა, რომლებიც გამოყენებულია ქართველი, რუსი და ამერიკელი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო დისკურსის დროს. კვლევის აქტუალობა განისაზღვრება პოლიტიკური კომუნიკაციის სფეროში ენობრივი მანიპულირების საკითხებისადმი ლინგვისტების გაზრდილი ინტერესით, სიტყვის ეფექტის შესწავლისა და მისი გამოყენების მნიშვნელობით. კვლევის მიზანია პოლიტიკოსების მიერ წინასაარჩევნო გამოსვლებში გამოყენებული ლინგვისტური სტრატეგიებისა და მანიპულირების ხერხების შესწავლა, აგრეთვე აღნიშნული სტრატეგიების რეალიზაციის ანალიზი ენობრივ დონეზე. კვლევა მიზნად ისახავს შემდეგ თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანებს:

1. თეორიულ-მეთოდოლოგიური ლიტერატურის შესწავლა.

2. "დისკურსის", "პოლიტიკური დისკურსისა" და "წინასაარჩევნო დისკურსის" ცნებების განხილვა.

3. წინასაარჩევნო გამოსვლების განხილვას ქართველი, ამერიკელი და რუსი (მიხეილ სააკაშვილი, დონალდ ტრამპი, ვლადიმერ პუტინი) პოლიტიკოსების მაგალითზე. ენის ხერხების გაანალიზებას, უმთავრესი მიზნის - მანიპულირების მისაღწევად.

მოცემული კვლევის ბუნება საჭიროებს ორი სფეროს - ლინგვისტური მეცნიერებისა და პოლიტიკური კვლევების ცოდნას, კვლევის შედეგებს აქვს პრაქტიკული ღირებულება სპეციალისტების ფართო სპექტრისთვის: ლინგვისტების, პოლიტოლოგების, მომხსენებლების, საზოგადოებასთან ურთერთობის მენეჯერებისა და ა.შ.

კვლევის ძირითად მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნულ კვლევაში, წარმოადგენს: შინაარსობრივი ანალიზი, დისკურსული ანალიზი და შეპირისპირებითი ანალიზი.

ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, პირველი თავი, მეორე თავი, მესამე თავი, დასკვნა და ბიბლიოგრაფია. პირველი თავი ეთმობა სამეცნიერო ანალიზს, ტერმინების - "დისკურსი", "პოლიტიკური დისკურსისა", და "საარჩევნო დისკურსის" განმარტებას.

მეორე თავი ეთმობა წინასაარჩევნო დისკურსში მანიპულირების ლინგვისტური საკითხის შესწავლას. აღწერილია მანიპულირების პროცესისა და ფსიქო-შემეცნებითი ბაზის შესწავლის ძირითადი მექანიზმები.

მესამე თავი კვლევის პრაქტიკული ნაწილია. იგი ენობრივ დონეზე ანალიზებს წინასაარჩევნო კამპანიებში გამოყენებულ მანიპულირების სტრატეგიებსა და ტექტიკებს.

დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგები. გაანალიზებულია მანიპულაციის როლი წინასაარჩევნო დისკურსში.

Abstract

This object of the following research is a pre-election discourse. The subject of research is – the manipulation strategies and tactics used by Georgian, Russian and American politicians during pre-election discourse. The actuality of this research is determined by the linguists' attitude towards language manipulation in the field of political communication. An increased interest in studying speech effectiveness as well as possible ways of managing defense from manipulation. The research aims to analyze the methods of linguistic strategies and

manipulation used by politicians in pre-election speeches, as well as analyzing the realization of these strategies at linguistic level. The research aims to resolve the following theoretical and practical tasks:

1. The study of theoretical-methodological literature.
2. Discussion of concepts: "discourse", "political discourse" and "pre-election discourse".
3. Discussion of pre-election speeches on example of Georgian, American and Russian (Mikheil Saakashvili, Donald Trump, Vladimir Putin) politicians. Analysing the language methods for achieving the main goal - manipulation.

Considering the nature of this research, that requires knowledge in two fields - the linguistic sciences and the political studies, the results of the research may have a practical value for a wide range of specialists: linguists, political scientists, rapporteurs, public relations managers, etc.

Main research methods used in this study are: content analysis, discourse analysis and conflict analysis.

The work consists of an introduction, three chapters, conclusion and bibliography.

The first chapter is dedicated to scientific analysis of the literary terms, such as "discourse", "political discourse", and "pre-election discourse".

The second chapter is dedicated to analyze the linguistic issue of manipulation in pre-election discourse. The main mechanisms for studying the manipulation process and psycho-cognitive base are described.

The third chapter is a practical part of the research. It analyzes linguistic levels of manipulation strategies and tactics used in pre-election campaigns.

The findings of the survey are summarized in the conclusion. Also the role of manipulation in pre-election discourse is analyzed.